კვირა, 11 თებერვალი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 13

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ი ს ა რ ი**

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**ხელის მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ბათუმში**—ხომერიკთან, ქოროხში. **ოზურგეთში**—პლ. ლექავასთან. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის ბანკში. **ბაქოში:** გიორგი ჩხეიძესთან (ქინქარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

## ტფილისის გუბერნიის თ.-აზნაურთა წინამძღოლი

აცნობებს ბ.ბ. თავად-აზნაურთ ტფილისის გუბერნიისას, რომ ამა თებერვლის 18-ს, შუადღის 12 საათზე, ტფ. სადეპუტატო საკრებულოს სადგომში (ბელინსკის ქუჩა, № 2) დანიშნულია

**თავად-აზნაურთა საგანგებო საგუბერნიო კრება.**

განსახილველია: 1) სათეატრო შენობის გადაკეთების საქმე; 2) სახ. საბჭოს წევრის თავ. ი. გ. ჭავჭავაძისთვის ჯილდოს დანიშვა იმ დროში, როცა საბჭოს სხდომები შეწყვეტილი იყო; 3) გამოძებნა სახსრისა ტფ. სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. (ნ. 3—1)

**ძმათა ნიკიტინების ცირკი.**



დღეს, 11 თებერვალს, გაიმართება **ორი** სადღესასწაულო წარმოდგენა. დღისით ბავშვებისათვის. მონაწილეობას მიიღებენ ველოსიპედისტები **მმ. ეფიმოვები.** დასაწყისი 2 საათზე. ფასები დაკლებულია. **საღამოთი** გასტროლი შესანიშნავ არტისტების მფრინავი კაცებისა **ტრიო ლეხერტს**. იქნება სამი განყოფილება. ბოლოს პანტომიმა: **„მეზღვაურთა დღესასწაული“.** კასსა გახსნილია დილის 11-დან 2-მდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე.

**ა ნ ო ნ ს ი:** ცირკში დაიწყო მზადება ელექტრონის ეფექტებისთვის. მოელიან შესანიშ. ევროპიელ არტისტებს დირექტორის **აკიმ ნიკიტინის ბენეფისოდ**, ამ დღისთვის უნდა ჩამოვიდეს ლამაზი ცოლი ოსმალოს ფაშისა.

**დასაწყისი 8½ საათზედ.**

გამგე რ. ს. გამსახურდია.

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განჯის დიდი ქუჩა, № 5.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდენკო**—შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. გ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკევობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. გ. გ. ჯნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. აზპიროვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. გ. გ. ბოგოვსკი**—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. პავლიცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ფ. როზმაინსკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**გ. ი. ნნავე.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდცევა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. გ. მ. პივარსკი** / **ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ონოპკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—50)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყოროლენკოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—41)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—ნ.—4)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—1)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ ბებჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ბეჟლიანოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. ბ. გიმონეტი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 6—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—26)

## ვერის სამკურნალო.

სპეციალისტ ექიმებისა.

ოლგას ქუჩა **№ 35.**

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. შახნაზაროვი**—ნერვებისა და ხელექტრო წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ეინათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე 9½—11 ს.

**ექ. რამინდიკი**—შინაგანი 10½—11½ ს.

**ექ. ზაგრევსკი**—ქალისა და საბებიო 11—12 საათამდე.

**ექ. ქაჯაიანთაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. გიკოშანიძე**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარიცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შეფრეიზერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამზურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

**სამკურნალოში შეიძლება მასაჟი.** (100—92)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—32)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყოროლენკოვის ქუჩა № 14.

ქ. ბაქო

## თეატრი

ბაქოელ ქართველთა საზოგადოებისა

დუმის მოედანი, ქალაქის ცენტრი.

მშვენივრად მოწყობილია. ახალი დეკორაციები. ელექტრონის განათება. შემოსავალი შეიძლება 1000 მანეთამდის. პირობების გაგება შეიძლება **კ. მ. მესხთან,** ბაქო, ქართვ. საზოგ. თეატრში.

## დამაარსებელნი

**ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალურ საზოგადოებისა ტფილისში იწვევს**

ამხანაგებს კრებაზე, რომელიც მოხდება კვირას, 11 თებერვალს, დილის 10 საათზე, ტფილ. ქალაქის გამგეობის შენობაში. შეუძლიანთ დაესწრონ: ასოთ-ამწყობებს, მბეჭდავებს, სტერეოსტიპზე მომუშავებს, ლიტოგრაფებს, მკაზმავებს, ასოების ჩამომსხმელებს, ცინკოგრაფებს და სხვებს.

განსახილველი საგნებია: წესების განხილვა და გამგეობის არჩევანი. (2—უ.—2)

**დედოფლის მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობის**

**უსინათლოთა**

## საზოგადოების

კავკასიის განყოფილების საბჭო აცნობებს განყოფილების წევრთ, რომ კვირას, 11 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, ნამესტნიკის სასახლეში, დანიშნულია უსინათლოთა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრთა კრება. კრებას მოხსენდება ანგარიში განყოფილების მოქმედებისა 1905 წლის განმავლობაში, არჩევა გამგეთა და სხვა მიმდინარე საქმეები. (3—უ.—3)

ვ ყ ი დ ი

## ძალიან იაფად

ტფილისში შეშას. აქაურ საწყობებში იყიდება საჟენი 32 მანეთად, მე ვყიდი 27—28 მანეთად. შეშა წიფლისა და რცხილასაა. თუმანოვის ქუჩა, ყულუმბეგოვის სახლის ეზოში. (1—536—1)

## გამგეობა

**ტფილისის მოსამსახურეთა ურთიერთდამხმარე საზოგადოებისა** აცნობებს, რომ:

1) საზოგადოების კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე და 5-დან 8-დე საღამოსი;

2) იწვევს ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ კანტორაში და ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად;

3) ერთდროული საწევრო შესატანი ერთი (1) მანეთი და ყოველთვიური 2½% ჯამაგირიდან;

4) კანტორა იმყოფება სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო ქარვასლაში. (7—523—7)

**თეატრი „რენესანსი“**

(მიხაილოვის ქუჩა)

კვირას, 11 თებერვალს, 1907 წ.

ტფილისის ქართული დრამატ. დასის მსახიობთა მიერ სცენის მოყვარეთა დახმარებით, წარმოდგენილი იქნება:

## სამხედრო ბანაკში

დრამა 4 მოქმ. ბეიერლეინისა, თარგ. აკაკი ფაღავასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი მდივანი, ბ-ნნი იმედაშვილი, ჟივიძე, ივანიძე, კოლხიდელი, იმერიძე, რომანიშვილი, ლანდი, ინაშვილი, ანაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 7 საათზედ.**

**ქ. ქ უ თ ა ი ს ი**

ქალაქის თეატრში, კვირას, 11 თებერვალს.

ბენეფისი **ნიკო გვარაძისა.**

ქუთაისის ქართული დრამატიული დასის ამხანაგობის მიერ **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## უბრალოდ დასჯილნი

კომ. 4 მოქ. ა. ოსტროვსკისა თარგ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

ადმინ. **ნ. მარჯანიშვილი.**

(1—უ.—1) რეჟისორი **ვ. ბალანჩივაძე.**

**„რენესანსის“ თეატრში**

(ნემეცების ბაღში, მიხეილის პროსპ.).

კვირას, 18 თებერვალს. ქართულ დრამატიულ თეატრის არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება:

## კაი-ბრაკხი

5 მოქმ. დრამა სონტისა თარგ. მაჭავარიანისა.

**დასაწყისი საღამოს 7 საათზე.**

**გათავდება 10½ საათზე.**

ბილეთების ყიდვა შეიძლება დღეიდან.

(3—უ.—2) რეჟისორი **დათიკო ჩარკვიანი.**

**ტფილისის ქალაქის გამგეობა.**

იტყობინება, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნების ამრჩეველთა დაბეჭდილ სიების მიღება შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა და სხვა დღესასწაულ დღეებისა, ქალაქის გამგეობის კანცელარიაში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 3—საათამდე. (3—ქალ. 6.—3)

**→ლაკტო-ბაცილიანი რძე←**

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

## ა. ს. კლეგანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389 (100—51—70)

## ტფილისი, 11 თებერვალი.

თუმცა საპარლამენტო ფრაქცია კადეტების პარტიისა მეორე სათათბიროში არც ისე დიდი იქნება, როგორც პირველში იყო, მაგრამ ის მაინც სხვა მიმართულების ფრაქციებზე რიცხვ-მრავალი აღმოჩნდება. გარდა ამისა, არც ერთი პარტია არ წარმოადგენს ისეთს ძლიერს საპარლამენტო ძალას ცოდნის და მომზადების მიხედვით, როგორც კადეტების პარტია, რომელსაც ემხრობიან სხვათა შორის თითქმის ყველა ცნობილი და გამოჩენილი პროფესსორები. ამის გამო კადეტების საპარლამენტო ფრაქცია მომავალს სათათბიროში ცენტრის ადგილს დაიჭერს არა მარტო ამ სიტყვის იმ აზრით, რომ იგი უკიდურეს მემარჯვენეების და უკიდურეს მემარცხენეების შუა ჩადგება, არამედ იმ აზრიდაც, რომ ეს ფრაქცია დიდს გავლენას იქონიებს პარლამენტის მოქმედების საერთო ხასიათზე.

ასეთ პირობებში, ცხადია, რომ ყველა, ვისაც კი მომავალ სათათბიროს ბედ-იღბალი აინტერესებს, ცნობის მოყვარეობით იკითხავს, რა ტაქტიკას დაადგებიან კადეტები პარლამენტშიო. როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენს გაზეთში, უმთავრესი დამახასიათებელი თვისება კადეტებისა ისაა, რომ იმათი პარტიული პროგრამა არსებითად და შინაარსის მიხედვით რევოლიუციონურია, ხოლო ტაქტიკის მხრივ კი ლეგალური და კანონიერია. ეს წინააღმდეგობა პროგრამისა და ტაქტიკისა თვით კადეტების სიტყვით რეალურ პოლიტიკის მიმდევრობაა, ხოლო კადეტებზე მარცხნივ ვინც სდგანან, მათის აზრით კი ეს ერთის მხრივ პოლიტიკური უტოპიზმია და მეორეს მხრივ პოლიტიკური ოპორტიუნიზმი.

მართალია, მეცნიერულ ძალებით მდიდარს კადეტთა პარტიას ძალიან ეთაკილება უტოპიზმიც და ოპორტუნიზმიც, მართალია, კადეტები განუწყვეტლივ თავის პოზიციის გადიდებაში არიან და შეუჩერებელის ენერგიით იმეორებენ ათასჯერ ნათქვამს რეალურ პოლიტიკის პრინციპებს, მაგრამ ფაქტების ლოგიკა უფრო ძლიერია, ვიდრე კადეტების მეცნიერება; ფაქტები კი ამტკიცებენ, რომ რევოლიუციონური პროგრამის და ლეგალური ტაქტიკის შეერთება მხოლოდ აბსტრაქციაში (განყენების აზრში) შეიძლება და არა პრაქტიკულს მოქმედებაში. ეს აზრი მშვენიერად დამტკიცდა პირველ სათათბიროს ისტორიით. კადეტების «რეალურმა პოლიტიკამ» ვერც მათი პროგრამის შინაარსი განახორციელა და ვერც მათი ტაქტიკის სიმწიფე დაამტკიცა. პირველ სათათბიროს დათხოვნით კადეტების პარტია დამარცხდა და ამ დამარცხებას არ უარჰყოფენ თვით პარტიის ლიდერებიც კი, თუმცა დამარცხების მიზეზს იქ არ ჰხედავენ, სადაც ის იმყოფება. კადეტების აზრით პირველი სათათბირო დამარცხდა საზოგადოების რევოლიუციონური განწყობილებისაგან, რომელმაც რაოდენადმე თვით კადეტებიც კი გაიტაცა. თანახმად ასეთი შეხედულებისა, ამ პარტიას ჯერჯერობით მაინც აზრად არა აქვს თავის პროგრამის გადამინჯვა შინაარსის მხრივ, მაგრამ თავის გატაცებას კი რევოლიუციონურის ტაქტიკით აშკარად ჰგმობს და ხმა მაღლა აცხადებს, რომ ეხლა ის თავის თავს ასეთი გატაცების ნებას აღარ მისცემს და მთელის თავის სიდინჯით გამაგრდება კანონიერ ოპოზიციის ნიადაგზე.

კანონიერი ოპოზიცია იგულისხმებს ერთის მხრივ მთავრობის კანონ-პროექტების უარყოფას და მისი მოქმედების გმობას და მეორის მხრივ ისეთ კანონ-პროექტების გატარებას პარლამენტში, რომელთაც მთავრობა არ შეურიგდება. რა ნაყოფი უნდა გამოიღოს ასეთმა «რეალურმა» პოლიტიკამ? მხოლოდ ის, რომ რამდენისამე ხნით პარლამენტი მთავრობის საკანონმდებლო მექანიზმის მუშაობას შეაჩერებს და მთავრობა—პარლამენტის მოქმედების ნაყოფიერებას. ასეთი მდგომარეობა საურთიერთო ხელ-ფეხ შეკვრისა, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი ვერ იქნება; ან ერთმა მხარემ უნდა დასძლიოს, ან მეორემ, მაგრამ რომელმა მხარემაც უნდა გადასძალოს—სულ ერთია, ეს დაძალვა რევოლიუციონური ხასიათისა იქნება, რადგან ნება-ყოფლობით არც არაფერს მთავრობა დაუთმობს ოპოზიციას და არც ოპოზიცია მთავრობას. რადგან კანონიერ ოპოზიციის გამაღმერთებელი კადეტები წინასწარ აცხადებენ, ჩვენ კანონის ნიადაგიდან ფეხს არ მოვიცლითო, ამიტომ მკვდარ წერტილზე გაჩერებულს სახელმწიფო მექანიზმს ისევ მთავრობა გამოიყვანს თავისუფლ მოძრაობის ასპარეზზე, ე. ი. მთავრობა მოსპობს იმ დაბრკოლებას რომელსაც მისთვის კანონიერი ოპოზიცია წარმოადგენს. ამგვარად ლოღიკური დასკვნა იმ ლეგალურის ოპოზიციისა, რომელსაც კადეტები თავის ბრძოლის ერთად-ერთ ბურჯად ჰხდიან, იგივეა, რითაც დასკვნილ იქმნა პირველ სათათბიროს ოპოზიცია.

კადეტების კანონიერ გულისთქმას, რა თქმა უნდა, არაფრად ეჭაშნიკება ასეთი დასასრული საპარლამენტო კომპანიისა, მაგრამ ის კი არ შეიძლება ვთქვათ, რომ მათი შორს-მჭვრეტელობა ამ საგნის შესახებ ჩლუნგი იყოს და ასეთს დასასრულს არ მოელოდეს. პირიქით, მათ თავისი პოლიტიკური წინადგრძნობა მაჩვენებას არ აძლევს, მაგრამ კანონიერების მიმდევარნი და «რეალურ» პოლიტიკის დამცველნი ეხლა იმით იქარვებენ გულის დარდს, რომ ეს «ბნელი საგანია» და ვინ იცის, რა იქნებაო. კადეტების ლეიბ-ორგანო «რეჩი» პირდაპირ ამბობს, ჩვენ არა გვსურს ამ ბნელ გამოცანაზე შევჩერდეთ, ვინ იცის, იქნება მთავრობამ დათმობის პოლიტიკას მისცეს უპირატესობა, თუმცა ძალიან მოსალოდნელი კია, რომ ის სხვანაირად მოიქცევაო. რეალურ პოლიტიკის პარტია, რომელიც თავის მოქმედებას მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალთა სწორ-მომქმედის ხაზზე უნდა აწარმოვებდეს, პირდაპირ აცხადებს, ჩვენ თავს არ გავიცხელებთ იმის გამოცნობით, თუ რა მიმართულებას მიიღებს პოლიტიკური ცხოვრება განსაზღვრულ პირობებშიო. ამგვარი განცხადება არსებითად რეალურ პოლიტიკის პრინციპების უარ-ყოფაა და, თუ კადეტების მთავარი ორგანო ამ უარყოფაზე ჩერდება, ეს მხოლოდ იმ გარემოების სიმპტომია, რომ ამ პარტიას თითონვე საეჭვოდ მიაჩნია თავის ტაქტიკის ნაყოფიერება. ეს ეჭვიანობა კი ძალიან ადვილად დაჰბადებს უმტკიცობას, საპროგრამო რადიკალიზმის შესუსტებას და მემარჯვენეთა ბანაკისაკენ მიწევას.

როგორც შარშან, წელსაც სათათბიროს გახსნის წინ კ. დ. პარტია თავის პარტიულ კრებას ჰმართავს. ეს კრება 14 თებერვალს დაიწყება. ტაქტიკის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს პ. მილიუკოვი, პარტიის ლიდერი, რომლის გავლენა შარშანდელს სათათბიროსაც ეტყობოდა, თუმცა თვით მილიუკოვი სათათბიროს წევრი არ ყოფილა. ამ კრებაზე კადეტების საპარლამენტო ფრაქციის ტაქტიკა საბოლოოდ გამოირკვევა და ტაქტიკასთან ერთად გამოირკვევა აგრეთვე ის, თუ ვის დაუახლოვდება ეს ფრაქცია სათათბიროში მემარჯვენეებს თუ მემარცხენეებს.

**ჩვენი დღიური.**

ახლოვდება სათათბირო და მიყუჩებული ქვეყანა ნელ-ნელა იღვიძებს. ორი რაზმი, ერთი-მეორეს მოსისხლე მტერი, ძალღონეს იკრეფს, ჰფერავს იარაღს და ემზადება საომრად. ომი დაიწყება კამა-

თით, სათათბიროში შეეტაკებიან თათბირით ერთმანეთს მთავრობა და ხალხი, სათათბიროში ამოხეთქავს ის უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი, რომლის განვითარებას და განმტკიცებას ასე თავგამოდებით ემსახურებოდა სტოლიპინის მართებლობა. სათათბიროში დაიწყება ომი, მაგრამ სათათბიროშივე გათავდება? სიტყვა შეებრძოლება სიტყვას, მაგრამ ბრძოლა ბოლომდე სიტყვიერი დარჩება?

საკითხი აი ეს არის! ათის თვის წინად, პირველ სათათბიროს მოახლოვების დროს სწორედ ეგევე საკითხი იყო დაყენებული ჩვენს წინ და უმრავლესობა იმას ფიქრობდა, რომ სათათბიროს დათხოვნა აუცილებელი ლოღიკური დასკვნაა ძალთა განწყობილებისა და მთავრობის მოქმედებისაო. ჯარით გამაგრებული მთავრობა, რომელმაც ორი-სამი თვის განმავლობაში სისხლით მორწყო მთელი რუსეთი, რასაკვირველია, არ მოერიდებოდა ხალხის წარმომადგენლების გარეკას, მით უმეტეს, რომ იმ დღეებში საკმაო ფული ისესხა უცხოელ კაპიტალისტებისაგან.

როგორია დღეს ძალთა-განწყობილება და დღეს უფრო დაუთმობს მთავრობა ხალხს, ვიდრე შარშან? რევოლიუცია დღეს უფრო ძლიერია? ეს უნდა გავითვალისწინოთ, რომ დავუახლოვდეთ სინამდვილეს და ცოტათი მაინც გამოვიკვლიოთ გზა ახლობელ მომავლისა, ცოტათი მაინც, ვამბობ, რადგან სრული გაგება მომავლისა ჩვენ ხელთ არ არის. ეჭვი არაა, რომ დღეს, როგორც ერთმა რუსულმა გაზეთმა გამოაცხადა, მთავრობა ტეხნიკურად თუ უფრო არა, ნაკლებად მაინც ძლიერი არაა, ვიდრე იყო ათის თვის წინად: მთავრობის ხელშია მრავალი ჯარი და მტკიცე ორგანიზაციის შეკრული ბიუროკრატია, ის რყევა და რევოლიუციონური სული, რომელიც მოედო წინად ჯარსა და მოხელეებს, მეტად შესუსტდა და ზოგან კიდეც გაჰქრა, გაჰქრა ის საოცარი შიში და დაბნეულობა, რომელმაც შეიპყრო მთავრობა რევოლიუციის პირველ ხანებში; გზაკვალ დაკარგულმა მთავრობამ ღონე მოიკრიფა, დალაგდა, ორგანიზაცია აღადგინა და წარმოუდგა მტრის წინაშე „შეკეთებული". მხედრობაშიაც შესუსტდა პროტესტი. მხოლოდ ერთი ფრიად სუსტი მხარე აქვს მთავრობას—ესაა უფულობა, მაგრამ განა ეს ამ ჟამად იმდენად ძლიერია, იმდენად შეკრული გზა აქვს მთავრობას ფულის სასესხებლად, რომ ამის გამო დაემორჩილება ხალხის წარმომადგენლებს? ჩემის აზრით, არაა. მთავრობას კიდევ შეუძლია გამონახოს რამე გასასყიდი ან დასაგირავებელი.

ასეთია მთავრობის მდგომარეობა და მის პირდაპირ მდგარი ხალხი არა. უფრო მომზადებული და შეიარაღებული, ვიდრე იყო შარშან. ხალხის დღევანდელი მდგომარეობა მოგვაგონებს ოქტომბრის დღეების წინა ხანას. დღეს ხალხს სჭირიან ხელ-ახალი დარაზმება, ხელ-ახალი ორგანიზაცია, გაძლიერება რევოლიუციონურ ენერგიისა. როგორც მთავრობაც „შეკეთდა" დამარცხების შემდეგ, ხელახლავ მოიწყო და დაილაგა თავისი საქმეები (დროებით, რასაკვირველია, ხალხმაც რეაქციის შემდეგ უნდა მოახდინოს თავის ძალების რეორგანიზაცია და განახლებულის ენერგიით და სიმხნევით შეუდგეს საქმის განგრძობას. ეს ერთს დღეს და მოკლედ შეუძლებელია და დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ერთის იერიშით და „ურას" ძახილით მთავრობა ძირს დაეცემა დამარცხებული. ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს მთავრობა „შეკეთებულია და ის არ არის, რაც იყო ოქტომბრის-ნოემბრის დღეებში.

აი, ამიტომ ადვილად მოსალოდნელია, რომ მეორე სათათბიროც გამორეკილი იქნება. მეორე სათათბიროც ვერ იკანონმდებლებს და ამ მხრივ იგი სარგებლობას ვერ მოგვიტანს. ახალი სათათბირო ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ საშუალება განმათავისუფლებელ მოძრაობის სულის გასაფართოვებლად და გასაღრმავებლად. სათათბიროს შეწეობით, რაც უნდა ხანმოკლე იყოს მისი არსებობა, ჩვენ უნდა ვეცადოთ ზნეობრივი დეზორგანიზაცია შევიტანოთ მთავრობის ბანაკში, შევაერთოთ და შევკრათ ხალხი და ყველანი გამოვალაშქროთ მთავრობის წინააღმდეგ. ს—ა.

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში
## ჩვენში

**ბათუმი**. როგორც გწერდით, 8 თებერვალს მესამედ და უკანასკნელად მოხდა არჩევნები. 12 საათზევე გაიხსნა კრება, რომელსაც დაესწრო 16 ამომრჩეველი—შავშეთელმა, არ იქნა, ვერ მოაღწია, მარხილითაც ვერ გამოატანა.

ქალაქის სახლის კარიდორი და თავად საარჩევნო ზალა სხდომის გახსნამდის პარტიებთა წარმომადგენლებით გაივსო. აქა-იქ პოლიციელნი და სტრაჟნიკები იჭყიტებიან. თავმჯდომარემ შემოსვლისთანავე ჩვენ არა-ამომრჩეველნი „მოგვიწოდა" მიგვეტოვებინა ზალა, რაზედაც აბა, თქვენგან არ მიკვირს, უარს როგორ ვეტყოდით. ჩვენ გარეთ გამოვბრძანდით და ის კი თავმჯდომარის სავარძელში ჩაბრძანდა. ამის შემდეგ რაც საარჩევანო ზალაში მოხდა, გწერთ მეორე შეტყობით, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდგან კი გაიხსნა სხდომა თუ არ, თავმჯდომარემ მოითხოვა წერილობითი დასახელება კანდიდატისა. დაასახელეს: ეს-დეკი კანდელაკი 7 ხმით, ი-დი შარვაშიძე 6 ხმით და ნ. თავდგირიძე 3 ხმით. ყველა დასთანხმდა კენჭის ყრაზე. დასდგეს ყუთები. მაგრამ სანამ კენჭობას შეუდგებოდნენ, ამომრჩეველმა ექ. შატილოვმა, მიუთითა რა თავმჯდომარეს სენატის განმარტებაზე ქალაქის არჩევნების შესახებ, შეეკითხა—აქვთ თუ არა ნება იმ კანდიდატებს, რომელთაც გუშინ და გუშინ წინ კენჭი იყარეს, ხელმეორედ იყარონ კენჭიო. თავმჯდომარემ სამხედრო წესისამებრ სიტყვა მოუჭრა—ჩემს წესდებულებაში არაფერი მაგ გვარი განმარტება არ არის და ათჯერ გაშავებული და კენჭ ნაყარი რომ იყოს, ვინც უნდა იყოს კენჭს კიდევ ვუყრიო.

თავმჯდომარის შეკითხვაზე დასახელებულმა კანდიდატებმა თანხმობა განაცხადეს კენჭის ყრაზე, მაგრამ ერთმა იმათგანმა ნ. თავდგირიძემ კანონზე მიუთითა ხელი და უთხრა, რომ კანონით ყველა კანდიდატებისთვის არ არის სავალდებულო ერთბაშად უყაროთ კენჭიო; ჯერ იმას დაუდგით კენჭი, ვინც მეტი ხმა მიიღო წერილობით, მერე მეორეს და მერე მესამესაო. ამასაც თავმჯდომარემ თავისებურად მოუჭრა სიტყვა: ჩემს წესდებაშიო.... და ნურას უკაცრავადაო... დადგეს ყუთები რიგზე—კანდელაკის, თ. შარვაშიძის და თავდგირიძისა.

გათავდა კენჭის ჩამოტარება და ყუთები რომ დაითვალეს, აღმოჩნდათ: კანდელაკს და თავ., შარვაშიძეს—შვიდ-შვიდი თეთრი და რვა-რვა შავი, თავდგირიძეს კი—3 თეთრი და 12 შავი. თავდგირიძეს არ მიუღია მონაწილეობა კენჭის ყრაში.

ერთ-ბარათ მიღებულ ხმათა კანდიდადიდატებს შორის, თავმჯდომარის განკარგულებით, ყარეს წილი და **სათათბიროს წევრობა შეჰხვდა ეს-დეკს კანდელაკს.**

კარიდორებში შეიქნა ვაშას ძახილი. ეს-დეკები ისეთ აღტაცებაში მოვიდნენ, რომ კანდელაკის მაგიერ, ვიღაც სხვა აათამაშეს ხელით და ვაშათი.

აი, ასე გათავდა ჩვენი ამ სამი დღის არჩევანი!

გაბედნიერებული, თუმცა ალალ-ბედით, კანდელაკი დღემდის არ მენახა, დღეს რომ შევხედე, უეცრად სიტყვა „აბსუს" წამომცდა და თან ენა ჩავიკმიდე, მივიხედ-მოვიხედე, გარშემო ეს-დეკები თავს მეხვივნენ. ეხლა კი თამამად შემიძლიან განვიმეორო „აბსუს", რადგან მარტოკა ვარ და თანაც ვერც ერთ ადამიანისაგან კრებაზე ვერ შევიტყე—თუ რა კაცია და რა ცოდნის პატრონია ეს ჩვენი მასახელებელი („აბსუს"!) კანდელაკი!

— ეს-დეკია, სხვა რა უნდა იყოსო, ყველამ ეს მიპასუხა. იმ.

## რუსეთში
(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სათათბიროს დეპუტატების არჩევა.** სახ. სათათბიროს დეპუტატებად არჩეულ იქმნენ: ვორონეჟის გუბერნიაში: ბოლშევი—სტაროობრიადეცი, ოდნოკოზოვი—ვაჭარი, ტულინოვი—სამსახურს გარეშე მყოფი უნტერ-აფიცერი, ხოდიკინი და ვორობიევი,—ყველანი გლეხები ზომიერები არიან. ბენიალენკო კადეტი, გლეხი. კურსკის გუბერნიაში: ტატაშიროვი მემამულე, სმირნოვი,—ექიმი, ლოხვეცკი, პიანიხი—ორივე კადეტი. ბელოკინსკი, მემარცხენე, აფანასიევი, ვოლკოვი, რუსანოვი—უპარტიო მემარჯვენენი, გლეხნი; ნიჟნე-ნოვგოროდის გუბერნიაში: კარეევი,—გლეხი, უპარტიო მემარცხენე, საველიევი—დეპუტატად ნამყოფი, კადეტი, დეკანოზი ვლადიმირსკი—ქრისტიანე სოციალისტი, სკონნიკოვი—დეპუტატად ნამყოფი, კადეტი, რომანოვი—სოც.-დემოკრატი. ვოლინის გუბერნიაში: რეინი, შულგინი და გეშტანსკი—მემარცხენეები, ბელიაევი—ცენტრის პარტიისა, დრბოგლავი—ზომიერი პროგრესისტი, გაკავი, კალიშჩუკი, იუშიკი, ნიკონჩუკი, ვასი, კარენჩუკი, ვასიუტჩი და იგნატიუკი—რუს ხალხის კავშირის წევრი.

67 გუბერნიისა და 17 ქალაქში არჩეულ იქმნა 406 დეპუტატი. აქედან 73 მონარქისტია (ამ რიცხვში შედის 28 მონარქისტი და 18 უპარტიო მემარჯვენე); ზომიერი—41 (ამ რიცხვში შედის 21 ოქტომბრისტი და მათი თანამოაზრე), სულ მონარქისტი და ზომიერი 114. მემარცხენე 247 (ამ რიცხვში შედის: 66 კადეტი და მათი პარტიის თანამოაზრე, 29 შრომის ჯგუფისა და მისი თანამოაზრე, 39 სოც.-დემოკრატი, 9 სოც.-რევოლიუციონერი, 32 მემარცხენე, 5 უკიდურესი მემარცხენე, 20 უპარტიო მემარცხენე, 10 უპარტიო.). ნაციონალურ პარტიებს ეკუთვნის 44 დეპუტატი (ამ რიცხვში შედის პოლონელი უგოდოვეცი—35, დაშნაკცაკანი—3, ერთი არ იციან რომელ პარტიას ეკუთვნის).

**პეტერბურგი** პეტერბურგში ჯერ ყველგან არ დამთავრებული ბიულეტენების დათვლა. დამთავრდა მხოლოდ ათ ნაწილში, სადაც აირჩიეს 114 კადეტი, 9 მემარცხენე ბლოკისა და ერთი ოქტომბრის კავშირისა. მოსკოვისა და ალექსანდრე-ნეველის ნაწილებში ჯერ არ გათავებულა ბიულეტენების დათვლა, მაგრამ გამოირკვა, რომ იქაც კადეტებმა გაიმარჯვეს. ამ გვარად, ამომრჩეველთა საზოგადო რიცხვიდან (160 ამომრჩეველი) კადეტებს ეკუთვნით 150 კაცი, მემარცხენე პარტიების ბლოკს—9 და ოქტომბრის კავშირს—1. პეტერბურგში არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა სულ 153,304 კაცს. გამოცხადდა 66,982 ანუ 49,5%. დიდი ბრძოლა იყო ვასილიევსკის რაიონში, სადაც კადეტებმა ოქტომბრისტებზე 200-ით მეტი ხმა მიიღეს საქარხნო ნაწილში, ვიბორგის რაიონში მემარცხენეთა ბლოკმა სავსებით გაიყვანა თავისი სია.

**დეპუტატების რაოდენობა პარტიებად**. დღეს დაბეჭდილ ოფიციალურ სააგენტოს ცნობებით სულ არჩეულია 415 დეპუტატი, რომელთაც პარტიების მიხედვით სააგენტო ასე ჰყოფს:

| | |
|---|---|
| მონარქისტები: | |
| მემარჯვენენი | 75 |
| ზომიერები | 41 |
| სულ | 116 |
| მემარცხენენი: | |
| მშვიდ. განახლ | 2 |
| დემოკრ. რეფ. | 1 |
| პროგრესისტი | 24 |
| კადეტი | 68 |
| კადეტების მარცხნივ | 8 |
| ქრისტ.-სოც. | 1 |
| ნაროდნ.-სოც. | 1 |
| სოც.-დემოკრატი | 40 |
| სოც.-რევ. | 9 |
| უპარტიო მემარცხენე | 66 |
| რადიკალი | 2 |
| ტრუდოვიკი | 32 |
| სულ | 254 |
| ნაციონალ. პარტიები: | |
| ნაროდოვც. | 35 |
| დაშნაკცაკ. | 3 |
| ლიტ.-დემ. | 2 |
| პოლონ.-პროგრ. | 3 |
| უკრაინოფილი | 1 |
| სულ | 44 |
| გამოურკვეველი | 1 |
| სუყველა ერთად | 415 |

# ახალი ამბავი

✦ **დეპუტატების წასვლა**. დღეს, 11 თებერვალს, ტფილისიდან პეტერბურგს მიდიან ტფილისის გუბერნიიდან არჩეული სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: არ. ჯაფარიძე, კაცაშვილი, ს. ჯუღელი და ტფილისიდან არჩეული ზურაბიანცი.

✦ **ახალი განკარგულება**. ამიერ

# ფელეტონი

* * *

რამ დაგაღონა, მაშვრალო,
რამ გაგიტეხა გულია:
განა არ იცი, რომ ტანჯვას
მოჰყვება სიხარულია?

ხომ გახსოვს, ამას წინაზე
მთვარე რარიგად ბრწყინავდა
და მზის სხივები ტყე-ველად
რა თავისუფლად ფრინავდა?

განა ყოველთვის იწვიმებს,
მუდამ ავდარი იქნება,
და ნაძირალებს ქვეყნისას
მარადის გაეცინება?

არა, მაშვრალო, გჯეროდეს,
რომ კვლავ დადგება დარია,
შენსა მტანჯველებს დღეები
გაუთენდებათ მწარია.

და თუ ამდენ ხანს ცხოვრების
ჩარხი უკულმა ბრუნავდა
და ტვირთმძიმე მონობის
უღელ ქვეშ კვნესდა, გმინავდა,

აწ შენც ელოდე დატკბობას,
თავისუფლებით ფრენასა
და გრწამდეს ადრე, სულ ადრე,
ეწევი შვება-ლხენასა.

მხოლოდ გამხნევდი, ტანჯულო,
მოიდე ცეცხლთა გენია;
იწამე, აწმყო იცვლება
და მომავალიც შენია.

რამ დაგაღონა, მაშვრალო!
რამ გაგიტეხა გულია:
განა არ იცი, რომ ტანჯვას
მოჰყვება სიხარულია?!.

**გ. ლაბლოშვილი**

## შემთხვევა

ერთს სადგურზედ, როდესაც მატარებელს ველოდით, დეპეშა მოვიდა, რომ მატარებელი ერთს საათს დაიგვიანებსო. ძალიან მეწყინა, ნაცნობი არავინა მყავდა და არ ვიცოდი, ეს ერთი საათი როგორ გამეტარებინა. ბოლოს საერთო ზალაში შევედი, მაგიდას მოუჯექი და ჩაი მოვითხოვე. იქვე ახლოს ჩემს გვერდით ორი მგზავრი იჯდა, ორივე შუა ხნისა იქნებოდა. ნელა შეექცეოდნენ ლუდს და ჰან ხელების შლით ცხარედ რაღაზედაც ლაპარაკობდნენ. სკამს მივწიე და ყური დაუგდე იმათ ლაპარაკს.

— არა, ჩემო ძმაო,—ამბობდა ერთი:—ისინი არც მტრები არიან და არც ყაჩაღები. გნებავთ ერთ შემთხვევას გიამბობთ, რომელმაც თვალები ამიხილა და ბევრი რამე გამაგებინა? წინად მე ჩემს თავს პატიოსან კაცად ვთვლიდი, მაგრამ ამ შემთხვევამ დამარწმუნა, რომ ქურდებზედა უკანასკნელი ვყოფილვარ.

— რა იყო, ნეტა, მაგისთანა?—შეეკითხა მოსაუბრე.

— აბა ყური დამიგდე!—განაგრძო პირველმა, მერე ჩაახველა, ჩამოისველა ყელი ლუდით და დაიწყო:—ამ სამი წლის წინად ქალაქიდან მივდიოდი. ერთ სადგურზე მეორე მატარებელში უნდა გადავსულიყავ. მატარებლის მოსვლამდის კი საათ ნახევარი დრო იყო. მარტო ვიყავ. ჩემთვის ჩამოვჯექი და საუზმეს შეუდექი. ზალაში დიდ ძალი ხალხი ირეოდა. მათმა ლაპარაკმა და ფეხების ფხაკუნმა ყურები გამომიჭედა. უცბად მოისმა საშინელი წივილი. ვიღაც დედაკაცი ისე გაჰკიოდა, თითქოს ყელსა სჭრიანო. ჯერ შემეშინდა, ვიფიქრე, კაცსა ჰკლავენ მეთქი, მაგრამ მერე თავი შევიმაგრე, წამოვხტი სკამიდან და მივიხედე იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა. კასსის ცოტა მოშორებით ხალხი შეჯგუფულიყო. ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იყო, თავი ამოვყავი ხალხის შუა. იქვე იატაკზედ პირქვე ეგდო დედაკაცი და ტიროდა. გვერდზედ სამი-ოთხი წლის ბავშვი იდგა და შიშით აკანკალებული იცრემლებოდა. იქვე ერთ ახალგაზდა კაცს მივმართე, აეხსნა რაში იყო საქმე, მაგრამ იმანაც არა იცოდა რა. ზოგი იძახდა—მთვრალიაო, ზოგი—ბნედა მოუვიდაო, ზოგი კიდევ რას. მოვიდა ჟანდარმიც. ბოლოს საქმე გამოირკვა: თურმე ვიღაცას ქალისთვის ჯიბიდან ფული ამოეცალა. ახლა რა ფული? საბრალოს სოფელში ერთად-ერთი ძროხა ჰყოლოდა. ის გაეყიდნა და აღებულ ფულით ქალაქში წამოსულა ქმართან, რომელიც ქარხანაში მუშაობდა და რომლისთვისაც მანქანას ფეხი მოეწყვიტა. ეხლა ხომ გაიგე, რა ფული იყო, ის ფული?

„როდესაც საქმის ვითარება გავიგეთ, ყველანი გავჩუმდით. მივხვდი, რომ ჩემთან ერთად სხვებმაც, ვისაც კი ჯიბეში ფული ეგულებოდა, საფულეზე იტაცეს ხელი და უშიშარ ალაგას გადამალეს. ჟანდარმმა ყველაფერი ჩაწერა და არხეინად გზას გაუდგა. ხალხიც დაიშალა. მე ისევ ჩემ მაგიდასთან მივედი. მაგრამ საბრალო ქალი მაინც განაგრძობდა ტირილს, თუმცა უფრო დაბალის ხმით. იმისი ტირილი არავის აღონებდა, ყველანი ჩვენთვის ვიყავით. მე დავასხი ღვინო და ის იყო უნდა დამელია, რომ მოისმა ხმა: „ხალხნო"!—უკან მივიხედე. იქვე ერთი მაღალ-მაღალი და ძალზე გამხდარი კაცი იდგა, ქუდი მოეხადა და ხალხს ეუბნებოდა:—„ხალხნო! დახმარება გაუწიეთ უბედურ ქალს, ვისაც რითი შეგეძლოთ"! ესა სთქვა და თითონ ჩააგდო ქუდში თეთრი ფული. ყველამ ჯიბეს იკრა ხელი და ვინ შაური და ვინ ორი ჩააგდო. გამხდარმა კაცმა ყველას სათითაოდ ჩამოუარა; მერე მივიდა მაგიდასთან, იქვე მიიყვანა ის დედაკაცი და ბავშვი და ხალხს მიმართა: „ხალხნო! ეხლა დავთვალოთ ეს ფული"-ო. ამ სიტყვებთან ერთად წამოყარა ფული მაგიდაზე. ფულს თან გამოჰყვა თეთრ ნაჭერში გახვეული რაღაც... დაინახა თუ არა ეს დედაკაცმა, თვალებ გაბრწყინებული ეცა და დაიძახა:

— ღმერთო ჩემო! ეს ხომ ჩემი ფულია!

— რომელი ფული, რა ფული?—ვკითხეთ აქეთ-იქიდან, თან გაოცებული შევცქეროდით.

— ჰოო, ჩემი ფული, ჩემი!—ამბობდა ის:—ჩემი საკუთარი, რომელიც ჯიბიდან ამომაცალეს, აი, უყურეთ—სთქვა და თან ნაჭერს დაუწყო გახსნა; გამოხსნა კვანძი და დაგვანახა ოთხი სამ მანეთიანი ქაღალდის ფული, სულ თორმეტი მანეთი.—სრულად არის, დაუმატა ბოლოს.

— საიდან ჩავარდა ქუდში?—დაეკითხა ჩემ გვერდზე მჯდომ მოსაუბრეს ამხანაგი.

— ჰო და საიდან? შენ რას იტყვი ამაზედ?—სთქვა ესა და მხიარულად ჩაიცინა.

— საიდან და ქურდს ჩაუგდია.

— სტყუი! ის ქურდი კი არა, ყოვლად პატიოსანი კაცი ყოფილა, პატიოსანი, ასჯერ პატიოსანი! დიაღ, მე ვაჭარი ვარ, მეორე გილდი მაქვს, ათასობით ბანკოში ვაგებ და სასტუმროებში ვჭამ;—იქ არ მენანება, აქ კი... იცი რამდენი შევწირე იმ ქალს, როდესაც გამხდარმა კაცმა ქუდი ჩამოატარა? ორი შაური .. შეიძლება იმ ქურდმა კაცმა იმიტომ მოჰპარა ფული, რომ შიმშილი აწუხებდა. მაგრამ, როდესაც გაიგო, დედაკაცი იმაზე გაჭირვებული იყო, ხელ უხლებლად დაუბრუნა ფული. გესმის ეს თუ არა? აბა ეხლა შენ განსაჯე: ვინ უფრო შემბრალებელი ყოფილა და პატიოსანი, ის, რომელმაც სულ დაუბრუნა ფული, თუ მე, რომელსაც ათასობით მაქვს და ორი შაურის მეტი კი ვერ გავიმეტე? აი, ასეთი იყო ეს შემთხვევა...

ამ დროს მატარებელი შემოვარდა და გაისმა ზარის რეკა. მე წამოვხტი და ვაგონისკენ გავეშურე. **გლეხი ვანო.**

## მოგზაურობა კავკასიაში *)
**ბათუმში მისვლა**

მივიღე რა პირველი ნაწილი იმ ფონდისა, რომელიც გროვდებოდა ქართველთა დამხმარებელ კომიტეტის მიერ, მე დავსტოვე ლონდონი და გავემართე იმიერ-კავკასიისკენ 10 ოქტომბერს. ევროპა გავიარე წერილის სიჩქარით, რადგან მინდოდა სტამბოლში მიმესწრო საფრანგეთის გემისათვის. ამით გადავრჩებოდი ორი დღის მოგზაურობას რკინის გზით რუსეთში. სამაგიეროდ, რვა დღის გზა მქონდა შავ-ზღვაზე. მაგრამ რაც შემაწუხებელი უნდა ყოფილიყო ჩემთვის, ის სასიამოვნო დღესასწაულად გადაიქცა. ამისი მიზეზი იყო მხიარულება ფრანგ მოგზაურთა ერთის ჯგუფისა, რომელიც ჩემსავით ტფილისისაკენ მიემართებოდა.

გემმა შეუხვია ცუგულდაში და დაიტვირთვა საჭირო ნახშირით, შემდეგ გადაიტვირთა სამსუნსა და ტრაპიზონში; ერთ ქარიან და წვიმიან საღამოს თავი შეაფარა პლატანას პატარა მომხიბლავ ყურეს და ბოლოს მივედით ბათუმის ნავთსადგურში, 24 ოქტომბერს, საღამო ხანს ბევრის სხვა და სხვა სასიამოვნო მოგონებებით დატვირთულნი ოსმალეთის ნაპირების შესახებ.

*) ეს წერილი დაიბეჭდა ინგლისურ ლიბერალურ გაზეთ „ტრიბუნ"-აში. პირველი წერილი მოთავსებული იყო 26 წარსულ დეკემბერს.

კავკასიის რკინის გზის უფროსმა იანვარში ცირკულიარით დაავალა პოლ. ნაწილის უფროსებს, შეადგინონ სიები მოსამსახურეთა და აღნიშნონ ვინ რამდენს წელს მსახურებს, რომ ამის-და მიხედვით მოემატოთ ჯამაგირი და მიეცეთ სამსახურში წარმატება. უფროსი დასძენს, ეს განკარგულება შეუცდომლად შეასრულონ, რომ მოსამსახურეთა შორის აღარ იყოს მითქმა-მოთქმაო. ამ განკარგულებას დიდი მნიშვნელობა აქვს: დღეს ჯამაგირის მომატებაც და სამსახურში წარმატებაც პროტექციაზეა დამოკიდებული. საქმე ეხლა სიების შედგენაა, რადგან კანცელარიის პატარა წურბელები ყველგან არიან და სიები შეიძლება ისე შეადგინონ, როგორც მათვისაა ხელსაყრელი. მაგრამ ამ შემთხვევისთვის ცირკულიარში ნათქვამია, თუ ვინიცობა მოსამსახურე არ იქნება კმაყოფილი, შეუძლიან თავისი უკმაყოფილება განუცხადოს გზის უმფროსსაო.

✦ **სტრაჟნიკები რკინის გზაზე.** რადგან დიდ-ძალი ფული იხარჯებოდა იმ სალდათებსა და აფიცრებზედ, რომელნიც სახალხო მატარებლებს მისდევ-მოსდევდნენ, ამიტომ რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ესენი აღარ გაჰყვნენ სახალხო და საფოსტო მატარებლებს. ამათ მაგივრად მიიღეს ორმოცი კაცი სტრაჟნიკი, რომელნიც მარტო საფოსტო მატარებლებს გაჰყვებიან. მატარებლებზე აღარც კამენდანტი აფიცრები იქნებიან. ამათ ნაცვლად კანტროლს გაუწევენ ის კამენდანტები, რომელნიც დიდრონ სადგურებზე არიან.

✦ **გაფიცვა.** მოსამსახურეთა კავშირის მეხუთე რაიონის (რიყე, ავლაბარი და ორთაჭალა) მოსამსახურენი მეორე დღეა, რაც გაფიცულნი არიან. რადგან ზოგიერთი „ხაზეინები“ ხელს არ აწერენ ანგარიშის წიგნებს და არ ასრულებენ იმ პირობებს, რომელიც მოსამსახურეებმა კარგა ხანია მოიპოვეს.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სიღნაღის მაზრის სოფ. ჩალაუბნის და ზედუბნის მცხოვრებნი კომლეურად თითო მანეთით დაჯარიმეს. ჰბრალდებათ ყაჩაღების დაფარვა. იგზავნებიან ვოლოგდის გუბერნიაში ორის წლით ახალშენის მცხოვრებნი ილია გოდელაშვილი, სიკო კობიაშვილი და ხანდრო თაბაძე. საგენ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნება ი. ბადალოვი.

✦ **კავკ. ნამესტნიკის განკარგულება.** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ნამესტნიკს განკარგულება მოუხდენია, ამიერიდან აღარ მიიღონ პოლკებისა და სამხედრო ეკლესიების მღვდლებად ქართველები, რადგან ქართველი სამღვდელოება მთავრობის წინააღმდეგაა განწყობილიო.

**ფულის მიღება.** ტფ. თავად-აზნაურობამ მიიღო ხაზინიდან 80 ათასი მანეთი, ის ფული (ოთხი წლისა), რომელიც აღუთქვეს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის თავზე დღესასწაულის დროს.

✦ **ორი კაცის დაღუპვა.** ქართლიდან შემდეგ ამბავს გვატყობინებენ: 30 იანვარს სოფ. ახალქალაქის მღვდელი გრიგოლ შატბერაშვილი მედავითნესთან ერთად სოფელ სამწევრისში წასულა სამღვდელმოქმედო საქმისთვის. გზაში საშინელი ქარ-ბუქი ამოვარდნილა. დაქანცული მედავითნე წაქცეულა. მღვდელს თავისი ანაფორა მედავითნესთვის გადაუფარებია და თითონ სოფელში დაბრუნებულა ხალხისთვის დასაძახებლად. შატბერაშვილს გზა დაბნევია, ქარ-ბუქს ისიც დაუძლევია და წაუქცევია, მღვდლის გვამი მეორე დღესვე იპოვნეს. მედავითნეს გვამის ძებნას კი სამი დღე მოუნდნენ.

✦ **ფულის განაწილება.** ამას წინად „სობრანიის“ წევრთა კრებამ 2000 მან. გადასდო სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმისათვის. მამასახლისთა საბჭოს აქედან 1000 მან. ხანგზურის მაზრის დამშეულებს გაუგზავნა, ხოლო დანარჩენი 1000 მან. გაუნაწილა შემდეგ საზოგადოებათ: ქართულ დრამატიულ საზოგადოებას—150 მან., ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას—100 მან., მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას—100 მან., ტფ. იაფ ფასიან სასადილოს—300 მან., სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებას—200 მან. და სომხურ დრამატიულ საზოგადოებას—150 მან.

✦ **ალექსანდრეს ბაღის გაღება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო ქალაქს, გააღოს ალექსანდრეს ბაღი, რომელიც ეს ერთი წელიწადი დაკეტილი. ბაღი ღია უნდა იყოს შეღამებამდე. ბაღში დარაჯები იქნებიან.

✦ **15 წლის საქმე.** 1891 წელს ტფ. ქალაქის თვითმართველობამ დაუთმო რკინის გზას ლაზარეთის სადგომის ასაშენებლად კარგა მოზრდილი ადგილი, რომელშიაც ქალაქს უნდა მიეღო 24,000 მან. მიწერ-მოწერამ გასტანა თითქმის 15 წლამდე და მხოლოდ ეხლა გამოირკვა გადახდის უეჭველობა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ შეუთვალა, გადაიხადოს ეს ფული.

✦ ხვალ, 12 თებერვალს, ტფ. საბჭოს განსახილველად აქვს 11 საქმე. უნდა განიხილოს სხვათა შორის მოხსენება ქალაქის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

✦ 9 თებერვალს მოხდა ტფ. მოქალაქეთა მამასახლისის მოადგილის არჩევნები. არჩევნებამდე გაიმართა დაუსრულებელი და პირად ანგარიშებზე აგებული კამათი. ბოლოს უუთი დაიდგა 5 კაცმა: აპრიამოვმა, ანტონოვმა, ვ. დოსკუტოვმა, ხოსროევმა და კოვალევმა. კრებამ ყველანი გააშავა, გარდა კოვალიოვისა და აპრიამოვისა. რადგან აპრიამოვს 33 თეთრი ვენჯი ამოუვიდა (3 ხმით მეტი კოვალიოვზე), გუბერნატორს ეს უკანასკნელი წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი მედიატორეთა დადგენილება ვანო ჩირიქოვის, ბაგრატ კონდახსაზოვისა და მათ მოსამსახურეთა შესახებ: „ჩვენ, მედიატორეებმა, მოვისმინეთ-რა ორივე მხრის ჩვენება, განვიხილეთ ბრალდებები და დავადგინეთ: „ვანო ჩირიქოვი ვალდებულია ხელი მოაწეროს და დაურიგოს მოსამსახურეებს ანგარიშის წიგნები და სავსებით შეასრულოს ის პირობები, რომელიც წიგნშია აღნიშნული; მისცეს მოსამსახურეებს ხალათები მუშაობის დროს, იჯრაზე ღვინო, დღესასწაულებში პურის ფული; მისცეს მოსამსახურეს ალექსის ვახშმის ფული, მისცეს ვარდუას პატრონს საავადმყოფოს ფული და ერთი თვის ხვედრი სრული ჯამაგირი. მოსამსახურეები ვალდებულნი არიან სავსებით ასრულებდნენ იმ პირობებს, რაც ანგარიშის წიგნშია აღნიშნული; მიეცეს მოსამსახურე ალექსას ამხანაგებისაგან წინადადება—თავი გაანებოს ლოთობას. ბაგრატ კონდახსაზოვი, თუ მართლა დაკეტავს დაწესებულებას, ვალდებულია თანახმად ანგარიშის წიგნში აღნიშნულ პირობისა, მისცეს მოსამსახურეებს სამი თვის ჯამაგირი, კანონიერ ხელფასს გარეშე.

თავმჯდომარე საქულ. მედიატორენი: მიშა ლაზიევი, ეფრემ მიკირტუმოვი, სტეფანე ხაჩატუროვი, სიკო, აპოლონ და გიორგი“.

✦ ბ-ნი გიორგი ქორქაძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვიწვიო სამედიატორო სამართალში მოვაჭრე სანდრო გუდაძე, რომელმაც შეურაცყოფა მომაყენა და დამიწყო რაღაცა ანგარიშების მოთხოვნა. არ ვიცი, რად დასჭირდა ს. გუდაძეს სასამართლოს ბოქაულთან (ამ დროს იქ იყო) ამის მოთხოვნა, შეიძლება იმისთვის, რომ უნდოდა გაეგებინებინა უკანასკნელისთვის ეს საქმე, რომელიც იყო საზოგადო საფუძველზე აშენებული. პასუხს ველი ოთხ დღემდის. ჩემის მხრივ მედიატრეებად ვასახელებ ვარლამ შათირიშვილს და კოჩიას. გიორგი ქორქაძე.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკის გამგედ ქალაქის გამგეობამ დანიშნა ქ-ნი ბ. კანდელაკი. ამავე ქალაქის გამგეობამ ნაცვლად დავით ავალიანისა, რომელიც უკვე დაამტკიცეს ქალაქის საბჭოს მდივანის ადგილზე, დანიშნა ქალაქის მამულების გამგედ ბ-ნი ჯაფარიძე.

✦ სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვიკ. ლომთათიძეს უნახავს ქუთაისის გუბერნატორი და მოუთხოვნია, რომ საეგზეკუციოდ ჩაყენებული ჯარი გურიის სოფლებიდან გამოიყვანოს. გენერალ იაზიკოვს უპასუხნია, რომ გურიის მართვა-გამგეობა პოლკოვნიკ ტოლმაჩევს აქვს ჩაბარებული და მაგ თხოვნით მას მიმართეთო.

✦ ქალაქში ხმა დადის, რომ გუბერნატორმა ფიცხელი გამოძიება დანიშნა ზოგიერთ პოლიციის მოხელეთა მოქმედების შესახებ იმ აზრით, რომ გამოარკვიონ, რამდენად კანონიერად მოქმედებდნენ ისინი, როცა სხვა პირთ მოწმობას აძლევდნენ ამომრჩეველთა სიის შედგენის დროს.

✦ უთანხმოებას სასკოლო კომისიისა და ქალაქის სასწავლებელთა მასწავლებელთა შორის ბოლო მოეღო მით, რომ შეთანხმებით მოიწვიეს მასწავლებელი.

# პატარა ფელეტონი

## დაცინვის ნესტარი

„დაცინვისა ეშინია იმასაც, ვისაც აღარაფრისა ეშინია ამ წუთი სოფელში“, სთქვა სახელგანთქმულმა რუსეთის მწერალმა გოგოლმა. მართლაც დაცინვა, მკვეთრი, შხამ-მორეული სატირა და არა ჩვენებურ-ძველებური და ტლანქი ლანძღვა-გინება, ერთი უმრავლესი იარაღთაგანია ძველ წესწყობილებასა და ყოველნაირ ბოროტებასთან საბრძოლველად. ყოველნაირი ძალადობა ხალხის მორჩილებითაა ძლიერი ამ წუთი-სოფელში მორჩილება კი ყველგან ორ დედა-ბოძზეა დამყარებული: ადამიანის შიშსა და შეუგნებლობაზე. დაცინვა კი ამ ორსავე დედა-ბოძს, ნელად მომქმედი, მაგრამ მტკიცე და ბასრი იარაღით თანდათან ძირს უთხრის, შიგანს ულღნის და აფუქსავატებს.

ვინ იტყვის, რომ ძველ დროში და დღეს წარჩინებულ მოძალადეთა თაყვანის ცემა რაც იყო იგივე დარჩაო? ეს დიდი შეცდომა იქნება. რაც დრო მიდის, მოძალადე კერპების ფშუტური შინაარსი სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, სულ უფრო და უფრო ნაკლები ხალხი დგას მორჩილებით მუხლ-მოდრეკილი იმათ წინაშე, და ამ კერპებისაგან ადამიანთა განთავისუფლების საქმეში, სხვათა შორის, დაცინვასაც დიდი სამსახური მიუძღვის.

თვალი გადაავლეთ ვინმე საერო ან სამხედრო უმაღლეს ხარისხით მოსილ წარჩინებულ მოხელეებს, დიდებულ მოძალადეებს, როგორ უცქერდა იმათ ხალხი ძველ დროში და როგორ უცქერის დღეს. უეჭველია დიდ განსხვავებას აღმოაჩენთ. ძველ დროში მოძალადეების ზარ-დამცემი დიდება ხალხს მემკვიდრეობით ნაანდერძევი, წარჩინებულთა და სამღვდელოთა დაუღალავი მეცადინეობით უმაღლესად მირონ-ცხებული და ხელ-მიუკარებელი უფლება ეგონა. დღეს კი ხალხს, მეტადრე განათლებულ ქვეყნებში, ცოტათი თვალი აეხილა ამ საგანზე და იგი მიმხვდარია, რომ თვითეული გულ-ზვიადი და თავ-მომწონე, ძალით მოსილი „ვაჟბატონი“ მხოლოდ ხალხის მორჩილებითა და არა ზეგარდმო მადლითაა განბერილი. დაცინვა ამ შემთხვევაში იმ პაწია, მაგრამ მკვეთრ ნესტარს უდრის, რომელიც, ჰაერით სავსე ბურთში რომ ჩასცემ, ნახვრეტში ნელ-ნელა სულს გამოადენინებს და ბურთი მაყურებლის თვალთა წინაშე თან-და-თან შეიკუმშება და საცოდავად ჩაიკეცება. ამგვარადვე წარსულ და ამწყო დროებაში დიადი ცარიელობით ალსავსე ბევრ სხვა-და-სხვანაირ კერპებს გამოადენინა სული დაცინვის მკვეთრმა ნესტარმა და შეკუმშა და ჩააკეცა ისინი ხალხის თვალთა წინაშე.

ავიღოთ თუ გინდ საარჩევნო მღელვარებით სავსე დღევანდელი დღე. მთელი რუსეთის თვალ-უწვდენელ სივრცეზე ხალხმა „დეპუტატები“ აირჩია. მათ შორის, ბრმა შემთხვევისა და საარჩევნო წესის წყალობით, გონიერნიც მოხვდენ და უგუნურნიც, რასაკვირველია. გონიერი თავის გონიერებას, უგუნური კი უგუნურებას მთელ რუსეთს დაანახვებს, რუსეთის ცხოვრებაში ახალი მოვლენა, სახელმწიფო სათათბირო, თვალ-უწვდენელ ქვეყნის შუა ამართულ სალაპარაკო „ტრიბუნას“ უდრის, საიდანაც მოლაპარაკე ორატორმა თავისი ხმა მთელ ქვეყანას უნდა გააგონოს. ეს ხომ სულ სხვა პოზიციაა, და სულ არა ჰგავს ისეთ შედარებით პატარა სახალხო კრებებს, სადაც ხშირად პაწ-პაწია ადამიანები დიდ ორატორობას ჩემულობდნენ და, ბავშვივით გულ-უბრყვილო ხალხში გავლენა მოპოვებული, ყალბ სიტყვებს ოქროს ფასად ასაღებდნენ. მათ ერთობ ცოტა ჰყავდათ გამომძიებელი, მათის მჭერმეტყველების სამართლიანად დამფასებელი მსმენელი.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს, როცა შემთხვევით მაღალ ადგილზე აფრენილ პაწია ჩიტუნია-ორატორს დიდ-ძალი და სხვა-და-სხვანაირ გამოცდილებით აღჭურვილი ხალხი დაუგდებს ყურს. იმის საცოდავი, ერთ სააგიტაციო კილოზე აწყობილი, კოდალას რაკუნივით ერთფეროვანი და გულ-შემზარავი ჰანგი იქ ღირსეულად დაფასდება. სად წაუვა მაშინ იგი ყოველ მხრიდან მოღერებულ უწყალო დაცინვის მკვეთრ ნესტრებს?

ვიცი, რომ ჩემ სიტყვებს სახელმწიფო სათათბიროში არჩეული **ზოგიერთი** დეპუტატი არ დაიჯერებს, მაგრამ მე მაინც ჩემსაც ვეტყვი. შინ დარჩი, სახლიდან ფეხს ნუ მოიცვლი, ამხანაგო. იცოდე, რომ ბედის ცუღლუტი ქალ-ღმერთი იქ ერთობ ვერაგულ ოინს აჰზადებს შენთვის. გაიძვერა დიაცმა განზრახ დაგინიშნა ხალხის პაწია მოხარკეს დიდი სადეპუტატო ჯამაგირი—დღეში თუმანი. ფრიად „იკლიკანტური“ მოსაზრებით გამოაღებინა მთავრობას უზომო დიდი „პრაგონი“; ნამდვილი სატანისებური ვერაგობით გადაგიშალა თვალ-წინ დიადი პოზიცია—სრულიად რუსეთის შუა ალაგას ამართული სამჭერმეტყველო „ტრიბუნა“. ჯერ კიდევ დრო არ არის დაკარგული და დაჟინებით გემუდარები, შინ დარჩი, სახლიდან ფეხს ნუ მოიცვლი, ამხანაგო! შენ ვერ ჰხედავ, მე კი ჟრუანტელი მივლის ტანში, როცა ვჭვრეტ, რა მუხანათობას გიმზადებს იქ ბედის უწყალო ღმერთი. მაშ იცოდე: უმაღლეს მწვერვალზე შენ აფრენა-შეტყუებას იმიტომ სცდილობს, რომ იქიდან შემდეგ ცხარე „კინწის კვრით“ შენი დაბლა ჩამოკოტრიალება უნდა. გაიძვერა ქალწულს მხოლოდ სეირი სწყურია. ამიტომ მესამეჯერ ბეჯითად გიმეორებ: სანამ დრო არის, შინ დარჩი, იჯმენ ეშმაკისაგან, ამხანაგო!

ადგილობრივ შენი **არარაობა** ზოგიერთს **რაღაცა** ჰგონია; იქ კი არარაობა მხოლოდ არარაობად დაფასდება. შენ არ იცი, რა ცხარე დაცინვა მოგელის იქა. ზოგი დოინჯ-შემოკვრით დაბლიდან მაღლა შემოგაჩერდება და ღიმ-მოურეველი, დინჯი კილოთი იტყვის გულის მომწყვლელ სიტყვებს: „რაც უფრო მსუბუქია ჩიტუნია, მით უფრო ადვილად აფრინდება ხოლმე მაღლა მწვერვალზეო“. კიდევ ვინმე სხვა მაყურებელი, შენ საგიტაციო მჭერმეტყველებით გაბრაზებული, ბოლოს წამოიძახებს: „ღმერთო ჩემო, ამ დალოცვილს ეს რამდენი პროკლამაცია გადაუყლაპავს, რომ ცარიელი პროკლამაციებით პირიდან ასაქმებსო.

მაშ იცოდე, იქ, უმაღლეს ადგილას, სულ ამგვარი ვერაგული და მკვეთრი ნესტრები მოგელის, რომელიც შენ ფუქსავატ არსებას უწყალოდ განგმირავს, სულს გამოგადენინებს და შენ თან-და-თან შეიკუმშები და საცოდავად ჩაიკეცები სრულიად რუსეთის ხალხის თვალთა წინაშე.

მაშ საბოლოოდ—შინ დარჩი, ამხანაგო!

**ი. ნაკაშიძე.**

# პროვინციის ცხოვრება

**ზესტაფონი.** სტრაჟნიკების მოქმედება ჩვენში საარაკოდ არის გადაქცეული, მაგრამ ზოგიერთი მათგანი თითით საჩვენებელი შეიქნა. განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია დვანკითის მცხოვრები ქარქაშაძე, რომელიც თავის მოღვაწეობას შეუდგა მარშანწინვე: თავის სოფელში თავისავე მეზობლებს თოფის სროლა დაუწყო და რამდენიმე კაცი კიდევაც იმსხვერპლა. მაშინ, სტაროსელსკიმ ამ საქმისათვის სამსახურიდან გადააყენა და სამართალში მისცა. რეპრესიებმა კვლავ ჩააყენეს ქარქაშაძე საქმეში და, მართალი უნდა სთქვას კაცმა, არა ჩვეულებრივი მხნეობა გამოიჩინა და მთავრობაც კარგის თვალით უყურებდა თავ-გამოდებულ და თავ გადადებულ ქარქაშაძეს. რაც უფრო დრო მიდიოდა, ქარქაშაძე და მისი ამხანაგები თავს გადიოდნენ. ჩვენმა გმირმა ამის გულისთვის კარგი სუსხი განიცადა ამას წინად. ზესტაფონში ერთ აფიცერს სავალდებულო სალამი არ მისცა ქარქაშაძემ და, როცა შენიშვნა მიიღო, მკვახე პასუხი მისცა

რადგან უფლება არავისა აქვს მზის ჩასვლის შემდეგ რუსეთის ნავთსადგურში გადავიდეს, ამისათვის იძულებულნი გავხდით მეორე დილამდის გვეცადნა, და ეს იყო პირველი ჩვენი გაცნობა ოფიციალურ რუსეთისა.

ბათუმიდან ტფილისისაკენ ოცდა-ოთხი საათის განმავლობაში მხოლოდ ორი მატარებელი მიდის. ჩვენ ვცდილობდით მოვხვედრილიყავით პირველ მატარებელზე. ამისათვის ყველანი, ცხრა კაცი და ქალი დილის 7 საათისთვის მზად ვიყავით გასასინჯად: ჩვენი ბარგი—ბაჟისათვის, ენა—ექიმისათვის, პასპორტები—პოლიციისათვის.

ძლიერ წვიმდა და ამის გამო არ მოსჩანდა კავკასიონის მთები, რომელნიც, ვიცოდით, ამ ღრუბლებს უკან იყო ზღვის თვალგადაუწვდენელ საუკუნო თოვლით დაბურული.

დაახლოვებით ორი საათის ლოდინის შემდეგ გემზე ამოვიდა ექიმი. თავი დაგვიკრა, დალია ყავა, მოუკიდა პაპიროსს, ჩაიცვა კალოშები, რომელიც სალონის კარებში დასტოვა და ისევ თავის ნავში ამოჰყო თავი. მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდით, რომ უკვე გავიარეთ კარანტინი.

პასპორტის საქმე კი ასე უბრალო არ აღმოჩნდა. გასინჯვა იყო სასტიკი და დიდი ხანი გავიდა, სანამ ჩვენი ძვირფასი ქაღალდები უკან დაგვიბრუნეს.

ბოლოს დადგა უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი აქტი ნაპირზე გადმოსვლისა. შეიარაღებულმა მოხელეებმა დასტაცეს ხელი ჩვენს ბარგს და ნაწილ-ნაწილად ჩაიტანეს ფარდულში. ტფილისში მატარებლის გასვლის საათი კიდეც დადგა და ვიღაც გავიდა. ეს მოხელეები კი მაინც ფათურობდნენ, ეძებდნენ და სინჯავდნენ ყოველ „აბორკას“, ყოველ ქუდის გასაწყობ ფრთას, რომელიც ეკუთვნოდა ოთხს მშვენიერს პარიზელ ქალს; ამათ გამოისობით ტანსაცმელზედ ბაჟის აღება უნდოდათ გამოცალიერებულ ხაზინის შესავსებად. შუადღე შეიქნა, სანამ უკანასკნელი კლიტე გადატრიალდებოდა ბოქლომში და ჩვენ ნებას მოგვცემდნენ ნაპირზე გადასვლისას.

**ტფილისისაკენ.**

ბათუმის ქუჩებში კოჭებამდის წყალი იდგა, როცა ჩვენ სასტუმროსაკენ გავსწიეთ. იქ ისეთის ფრანგულ მხიარულებით გავატარეთ დრო, რომ ხალხით ავსებულ სადგურზე ორის საათის ცდამაც კი ვერ გააქარწყლა იგი. საღამო ჟამს წვიმა შესწყდა და ჩვენ, სანამ შევფორთხდებოდით დასაძინებლად მაღალ, ნელის სანთლის განათებულ მატარებლის თაროებზე, ვუყურებდით, როგორ ეხლებოდნენ ევქსინის ტალღები კოლხიდის ნაპირებს.

როცა გამოგვეღვიძა, დავინახეთ რიჟრაჟი ალმაცერა მთებ შარას, რომელიც მცხეთასთან მტკვარს საზღვრავს. დიდებულ მზის ამოსვლისას ჩავედით ტფილისში—ამ კავკასიის ლონდონში, სადაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზები ერთდებიან და ცხოვრებაც სავსეა უცნაურის არეულობით და საოცარის კონტრასტობით.

ღამე ბილეთები სამჯერ გაგვისინჯა ერთმა მოხელემ ორის სხვა მოხელის თანხლებით, რომელთაგანს ერთს სანთელი ეჭირა ხელში, მეორეს კი თოფი და ხიშტი. ჩვენ ბათუმის სადგურზე კი ვნახეთ ფანჯრების შუქზე მოელვარე ხიშტები, მაგრამ სულაც არ მოველოდით, რომ ტფილისის ქუჩებშიაც ხიშტები მოგვესალმებოდა. ყოველ კუთხეში იდგა ორი ან მეტი სალდათი თოფით და ხიშტით. მათი ფერმკრთალი სახე, უგუნური გამომეტყველება, მათი თვალები და მოკრუნჩხული ფიგურა ამცნევდა ადამიანს, რომ ისინი უცხონი იყვნენ იმ მაღალ შავთვალა კაცთა შორის, რომელნიც იმათ ახლოს მიდი-მოდიოდნენ და რომელთაც ეცვათ სარტყელ შემორტყმული ტანსაცმელი ან თავისუფლათ მოფრიალე მოსასხამი, ზოგს-კი მშვენიერ თავზე ეხურა ძველებური ქუდი.

ამ ორი ხალხის ამგვარ წარმომადგენლების დამნახველისათვის უცბად გასაგები ხდებოდა, თუ რა ძნელი უნდა იყოს გარუსების მეცადინეობა და თუ რისთვის აცხადებდა საქართველო პროტესტს გადმოსახლების წინააღმდეგ.

ქალაქში, რომელშიაც 200 ათას მცხოვრებზე მეტი იქნება და რომელიც იმდენად საქმიანია, რამდენადაც მრავალ რიცხოვანი და მრავალ ფასოვანი, ბევრი რამ არის საინტერესო უცხოელისათვის. ამიტომ მე რომ აქ მოვსულიყავი, ვითარცა ტურისტი მხოლოდ, მაშინ იქნება ვერც კი მეპოვა კვალი ზარბაზნებით სახლების ნგრევისა, ქუჩებში ჟლეტისა და სახლთა გადაწვისა. მე არ მეცოდინებოდა, რომ ის გაშლილი ნანგრევები, რომლის ახლოსაც ხშირად გამივლია ტრამავაით, ცოტა ხნის წინად წარმოადგენდნენ ვრცელს, ხალხით გაჭედილ ბაზარს, რომელშიაც ასზე მეტი მუშა ცოცხლად დაიწვა, პირველად ამ ადგილს დაუშინეს ზარბაზნები. არ მეცოდინებოდა, თათრების უბანში რომ ის დანგრეული სახლები, რომელიც მიმავალს მხვდებოდა, გადამწვარ იქნებოდა აგრეთვე „თანახმად ბრძანებისა“.—უეჭველია, მე არც კი მოვიფიქრებდი დამეთვალიერებინა ტყვიების ნიშნები და ნახევრად გამქრალი სისხლის ჩირქები სახლებზე, საუკეთესო ქუჩაზე, მაგრამ ახლა ვისარგებლე ამ უსიტყვო და საზარელ მოწმეებით...

(დასასრული იქნება)

[illegible] ... **მოგზაური.**

**სოფელი ზანაბი** (სამეგრელო). [illegible] ... **ნოე გაბუნია.**

# რუსეთი

✦ **სამეურნეო აკადემიის სტუდენტების განცხადება.** [illegible]

გადლეობას და ასე თუ ისე გაერევიან ამ საქმეში."

სამართალში მიცემულ სტუდენტებს ჰბრალდებათ გასაძარცვავად ხაზინის ერთ მოხელეზე თავ-დასხმა.

✦ **გურკოს საქმე.** ამ ჟამად გურკოს საქმის გამოძიება სწარმოებს და სხვათა შორის მოწვეულ მოუწვევიათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. სტოლიპინი.

✦ **მღვდლის პეტროვის ხელმეორედ გასამართლება.** როგორც სჩანს, რუსეთის პრესას აუღაგმავს უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლების სისასტიკე დვდლის პეტროვის მიმართ. უწმინდესი სინოდის განსაკუთრებულ კომისიის ერთ საიდუმლო კრებაზე ხელ-ახლად განუხილავთ დვდლის პეტროვის საქმე და, როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, წევრთა უმრავლესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ გაუქმებულ უნდა იქნას კონსისტორიის დადგენილება პეტროვის დასჯის შესახებ.

## გ. კასრაძე.

7-ს თებერვალს, მიხეილის საავადმყოფოში, ღამის 11 ს. გარდაიცვალა ერთი საუკეთესო მუშაკი გიორგი კასრაძე. 5 თებერვალს გიორგი დაიჭრა ტყვიით მუცელში და ორი დღის განმავლობაში განუტევა სული. ამხ. გიორგი ახალგაზდა ცხრამეტი წლის უმაწვილი იყო და ქართლში განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებიდანვე ქართლში მუშაობდა გულმოდგინედ ყველაფერში რაც კი ქართლში ხდებოდა მუდამ გიორგის ხელიც ერია დევნილმა ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარა. ცხედარს დღეს მიხეილის საავადმყოფოდან გაასვენებენ დ. ცხინვალში დასაკრძალავად.

მშვიდობით დაუვიწყარო, ამხანაგო გიორგი! შენი მეგობარი-ამხანაგები უკანასკნელად გესალმებიან და არ დაივიწყებენ შენს სახელს! **ამხანაგი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 თებერვალი

**სტამბოლი.** კუნძულ კრიტის მფარველმა სახელმწიფოებმა მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც საერო კრებამ შეიმუშავა. კუნძულის მთავარმა კომისსარმა ზაიმისმა ხალხი შეჰკრიბა და კონსტიტუციაზე დაფიცა.

**ბუკვან ჰოლლანდ.** გემ. „ბერლინ“-ზე დაღუპულ მგზავრთაგან 9 თებერვლის 5 საათამდის ნაპირზე 33 მკვდარი გამოიტანეს. იმათ შორის 6 ქალია და ერთი 5 წლის ვაჟი. დაღუპულ გემით მიდიოდა ინგლისის მეფის „კურიერი“ გერმერტი, რომელსაც ფრიად საჭირო დეპეშები მიჰქონდა დანიის, რუსის, გერმანიის და სპარსეთის მეფეებთან.

**ლონდონი.** ნიუტონმა ლორდთა პალატაში შეიტანა ბილლი ამ პალატაში შთამომავლებითი წევრების შემცირების შესახებ. ამ ბილლით ჩამომავლობით პერს, თუ არჩეული არაა, ლორდთა პალატაში მონაწილეობის ნება არა აქვს. თუ ლორდთა პალატაში არჩეული არ არის, ან უნდა იყოს ნამსახური დიდ თანამდებობებში, ან საზოგადოებათა პალატაში ორჯერ უნდა იყოს არჩეული. ჩამომავლობით პერებს ნება ეძლევათ თავიანთ საერთო რიცხვის ერთი მეოთხედი აირჩიონ. მეფეს ნება აქვს ასი პერი დანიშნოს მთელის სიცოცხლით. პროექტით შემცირებულია აგრეთვე ლორდთა პალატის წევრ ეპისკოპოსების რიცხვი.

**ჰააგა.** ოფიციალური ცნობებით ჰოლლანდიის ჯარი კუნძულ ცელებესში დაიპირა საფარის მთა. ჯარმა 4 კაცი დაჰკარგა, მეამბოხეთ 8 მოუკლეს, იმათ რიცხვში სამი მეთაური.

**ტაშკენტი.** სამარყანდიდან ტაშკენტში მიმავალ მატარებელს ნიშანი მისცეს და გააჩერეს. ორი ბოროტ-გამზრახველი მატარებლიდან გადახტა და მემანქანე აიძულა ორთქლ-მავალი გაეჩერებინა. თვითონ ორთქლ-მავალზე დასხდნენ და გზა განაგრძეს. ქალაქს რომ ორი ვერსტით მიუახლოვდნენ, მატარებლიდან გადახტნენ და მიიმალნენ. აღმოჩნდა, რომ მათ ფულის ამკრებისთვის 14000 მანეთი წაურთმევიათ.

**ოდესსა.** ჯარის მთავარ-სარდალმა სათათბიროდ გამოიწვია რექტორი, დეკანები, უნივერსიტეტის პროფესორები, სასწავლებლის დირექტორები და აცნობა, რომ ზომებია მიღებული ქუჩაში მკვლელობის მოსასპობლადაო. ამასთან წინადადება მისცა ყველას, იმოქმედონ რამე ნაირად მოსწავლეებზე, რომ დაუყონებლივ შეცადინეობა განაახლონ.

**ხარკოვი.** სამხრეთ-აზების ლოლინსკის სადგურზე ფოსტის მიღების დროს ერთი პარკი დაიკარგა, რომელშიაც 21,777 მანეთი იყო.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც სავალდებულოა მუშების დაზღვევა ავადმყოფობა-სიკვდილის მოლოდინში.

**ოდესსა.** საღამოს ექვს საათზე მოჰკლეს რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემის „მარია“-ს კაპიტანი ზოლოტარევი. მატროსები მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო კანცელარია იწვევს გაზეთების რედაქტორებს, ვისაც სურს სათათბიროსა და საბჭოში იყოლიონ საკუთარი კორესპონდენტები, 14 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე, გაგზავნონ სას. კანცელარიაში თავიანთი წარმომადგენლები, თან წერილობითი ვექილობაც გაატანონ.

**ვარშავა.** ფოსტის განყოფილებაში სხვებთან ერთად მძარცველებიც მოგროვდნენ თურმე. ერთმა წითელ ბაირაღით ნიშანი მისცა სხვებმა სროლა ასტეხეს. მოჰკლეს განყოფილების უფროსი ოლეშკევი, ფოსტალიონი და ჟენშჩიკი. რომელნიც წერილების მისაღებად მოვიდნენ. დაიჭრა 3 ფოსტალიონი, 4 ჯარის კაცი, ერთი ქალი და მოხუცი ებრაელი. რამდენი ფული მოიტაცეს, ჯერ არ იციან.

**ლოძი.** ჩესტნოხოვსკის მშობიარეთა საზოგადოების კანტორაში ქუჩაში 10 შეიარაღებული კაცი დაეცა, 4750 მანეთი წაართვა და მიიმალა.

**ლიუბლინი.** ფრიდმანის გაძარცვისთვის საველე სასამართლოს განაჩენით სამი კაცი დახვრიტეს.

**ვაშინგტონი.** ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოება ფულის შეკრებას აპირობს რუსეთში დამშეულთათვის.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(ზამთრის წესით)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისის)

ტფილისიდან მიდის

**I. ბაქოს:** 1) ექსპრესი მოსკოვამდე, ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საფოსტო დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, საღამოს 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

**II. ბათუმს:** 1) საფოსტო, ნაშუადღევის 12 ს. 26 წ. (1 ს. 24 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 7 ს. 7 წ. (8 ს. 5 წ.); 3) ჩქარი, საღამოს 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.).

**III. ერევანს:** 1) საფოსტო, ღამის 11 ს. 42 წ. (12 ს. 40 წ.); სამგზ. და საქონლის, ნაშუადღევის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ბათუმიდან მიდის

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) საფოსტო, ღამის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.); 3) საჩქარო (მარტო ტფილისამდე), დილის 9 ს. 15 წ. (10 ს. 13 წ.).

ბაქოდან მიდის

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) ექსპრესი მოსკოვიდან, (მარტო ტფილისამდე), ღამის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2) საფოსტო, ნაშუადღევის 4 ს. 50 წ. (5 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, ნაშუადღევის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 4 ს. 3 წ. (5 ს. 1 წ.).

# განცხადებანი

## ყვავილების მაღაზია

**ლ. მეცლერისა** (მაიერისეული)

მიხეილის პროსპექტი, № 55.

ამზადებს ლამაზად და კოხტად თაიგულებს, გვირგვინებს და ყოველ გვარ სხვა ნივთებს ყვავილებიდან. (10—ხლ—2)

**ქუთაისში**

თესლეულობის

## კანტორა

**კიწმარიშვილისა და ამხ.-სა,** ბალახვანის ქუჩა, გუგუშვილის სახლში, სადაც შეიძლება შეძენა: იონჯის, კოინდრისა, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის, ლახანის და ყოველ-გვარი ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობისა. პრეისკურანტები მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ. (12—8)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**გ. ი. გმელიშვილი** 6½—7½.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (150—ხალ.—21)

**ტფილისის სამარხი კასის საზოგადო**

## კრება

კვირას 11 თებერვალს დილის 11 საათზედ **დანიშნულია ტფილისის სამარხი კასის საზოგადო კრება** ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში. ფრეილინის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) განვლილ ორი 1905 და 1906 წლის ანგარიში.

ბ) ორი გამგეობისა და სამი სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი ნაცვლების არჩევა.

გ) გამგეობის მოხსენება: წევრთა ხვედრი გარდასახადის დაგვიანების შესახებ.

დ) გარიცხული წევრების ხელ-ახლა მიღების შესახებ.

და ე) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1907 წლისათვის და კასის სხვა და სხვა საჭიროების შესახებ.

თუ ვინიცობაა 11 თებერვალს არ მოგროვდა კანონიერი რიცხვი წევრებისა, მაშინ მეორე და უკანასკნელი კრება დანიშნული იქმნება კვირას 18 თებერვალს. რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მეორე კრებას, მაინც კანონიერად ჩაითვლება.

გამგეობის წევრნი **ი. ნ. მერკვილაძე, შიო ქუჩუკაშვილი, ნიკო ბერიშვილი.** (4—521—4)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

## არითმეტიკული

კრებული [illegible]

ე. ხრამელაშვილისა [illegible] ნარდათ მყიდველებს [illegible] აქვე I ნაწილი კრებულისა, ყდით 30 კაპ.

მისამართი, ტფილისი წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(10—522—6) **სოსიკო მერკვილაძესთან.**

გამოვიდა და დაიგზავნა გასაყიდად

ახალი ქართული წიგნი

## მარქსიზმის შესახებ

ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ—დრისა.

**ფასი 10 კაპ.**

გამოცემანი:

## „გუთნისა“

**გლეხთა საკითხი საფრანგეთში,** ს. ანსკისა . . . 7 კაპ.

**ეროვნული საკითხი,** შალვა ნათაძისა, 3 კაპ.

**ახალი ქადაგება,** . . . 3 კაპ.

**საფრანგეთის დიდი რევოლიუცია,** ვლ. ლორთქიფანიძისა. . . 15 კაპ.

**მიწა მიწის მუშას!** . . . 5 კაპ.

**გზა სოციალიზმისკენ,** პ. სორსკისა. 5 კაპ.

**მეურნეო ცხოვრების განვითარება,** ე. პერნშტეინისა . . . 20 კაპ.

**აგრარული პროგრამები,** თ. სიბირსკისა 8 კაპ.

ყველა ამ წიგნების ყიდვა შეიძლება:

1) **ტფილისში**—საზოგ. „კახეთი“, გიორგი ჭონიაშვილთან.
2) **გორში**—ვანო ჩაჩანიძესთან, სობორის ქუჩა,
3) **ახალქალაქში**—(გორის მაზრა)—კიქტორ მღივანთან.
4) **ცხინვალში**—ნიკო კასრაძესთან.
5) **საგარეჯოში**—იოსებ ქურდოვანიძესთან.
6) **ქუთაისში**—დავ. ს. ღულაძესთან, მესხეთის ქუჩა.
7) **ბათომში**—პ. გ. გამყრელიძესთან, ქალაქის გამგეობა.
8) **ფოთში**—მიხ. ივ. ჩხენკელთან.
9) **ოზურგეთში**—ივლიანე ჟაყელთან.
10) **ჭიათურაში**—მ. მ. სიხარულიძესთან.
11) **ყვირილაში**—ჭოროხის წიგნის მაღაზიაში.
12) **სამტრედიაში**—კალამის წიგნის მაღაზიაში.
13) **ხონში**—მოსიკო ჭელიძესთან.
14) **ზესტაფონში**—ათანასე მიქაძესთან, სადგურის ბუდკაში.
15) **ბაქოში**—გ. კვალიაშვილთან.

აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიებში.

ამხანაგობა ხელ-ნაწერების ავტორებსა სთხოვს, შეგვატყობინონ ხოლმე თავიანთი პირობებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები უჰონორაროდ ჩაითვლება.



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი

ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ლორიპილებს“, საბერველება, აგრეთვე ყოველგვარი იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ „**სკრასთან**“. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში** „**კოლხიდასთან**“. (50—751—16

## ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—22)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრემერისა

**გადავიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—66)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.